THE BLACK SEA REGION IS A CORNERSTONE OF SECURITY

შავი ზღვის რეგიონი - უსაფრთხოების ქვაკუთხედი

TAMTA ABRAMIDZE

PhD student of History program at Batumi
Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia
ORCID: 0000-0001-8353-657X
Tamtaabramidze1983@gmail.com
577 107 886

Abstract

The given work represents the geopolitical significance of the Black Sea region. It refers to the overview of main actors of the region, their motives and ongoing challenges influencing the EuroAtlantic and regional security.

The Black Sea Straits issue still remains main geopolitical problem of the modern Inretnetional Relations. Struggle for controlling over the Navigation Regime is more important foreign policy challenge for the Great Powers.

Global Changes of XX century, mostly dissolution of USSR and Sovereignitization of new International Subjects encouraged activating of new geopolitical, economic, strategic, military and ecological problems which directly connecting with Black Sea Region and the Strait problems.

Taking into consideration the current situation, research focuses not only on the goals and roles of geostrategic actors but also to the importance of the small states in the region in terms of formation the common EuroAtlantic security architectureThe given research emphasizes the existence of different military-political views between the leading actors in the Black Sea Basin as they face the region before new challenges. Attention is also paid to the necessity of carrying out cautious and moderate policy from small states. By implementing timely and effective actions, it would be possible to ensure the prevention of ongoing threats and create favorable conditions to establish common security space.

Keywords: black sea, Straits, regime, convention, geopolitics

თამთა აბრამიძე

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი, ისტორიის
სადოქტორო პროგრამა, ბათუმი, საქართველო
ORCID: 0000-0001-8353-657X
Tamtaabramidze1983@gmail.com
577 107 886

აბსტრაქტი

შავი ზღვის სრუტეების პრობლემა კვლავ რჩება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ გეოპოლიტიკურ პრობლემად. ნაოსნობის (ნავიგაციის) რეჟიმის კონტროლისთვის ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური გამოწვევაა დიდი სახელმწიფოებისთვის.

XX საუკუნის გლობალური ცვლილებები, ძირითადად სსრკ -ს დაშლა და ახალი საერთაშორისო სუბიექტების სუვერენიტეტიზაცია ხელს უწყობდა ახალი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სტრატეგიული, სამხედრო და ეკოლოგიური პრობლემების გააქტიურებას, რაც პირდაპირ კავშირშია შავი ზღვის რეგიონთან და სრუტეების პრობლემებთან.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, სრუტეები, რეჟიმი, კონვენცია, გეოპოლიტიკა

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში შავი ზღვის სრუტეების საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ პრობლემად რჩება. ბოლო დროს, რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებით განსაკუთრებით დაინტერესებულია ნატო და ევროკავშირი, რაც აისახა 2011 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ „შავი ზღვის სტრატეგიაში“, ასევე 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტსა და 2017 წლის ბუქარესტში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე. ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან შავი ზღვის რეგიონისადმი დათმობილმა ყურადღებამ ცხადყო, რომ ის ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის ნაწილად მოიაზრება. თუმცა, რეგიონის გეოპოლიტიკურ რუკაზე დაკვირვებით აშკარაა, რომ შავი ზღვა ამავდროულად, გლობალური ძალების კონფრონტაციის ხაზია, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, რუსეთისა და ნატოს, რუსეთისა და ევროკავშირის, ხოლო მეორე მხრივ თურქეთის, რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება სულ უფრო აქტუალური ხდება და ის გლობალური უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი აკადემიური თვალსაზრისით, ხოლო სახელმწიფოების ინტერესები და პოლიტიკა ამ რეგიონის მიმართ ხშირად არაა ცალსახა და თანმიმდევრული.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ტენდენციები და ძირითადი აქტორების ინტერესები. აგრეთვე, მათი რეგიონული

პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე, წარმოადგინოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროს განვითარების პერსპექტივები.

მეთოდი

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად იქნა გაანალიზებული საკვლევ თემასთან შეხებაში არსებული მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა შედარება და ანალიზი მნიშვნელოვანია მოვლენათა სიზუსტისა და ობიექტური შეფასებისათვის.

მსჯელობა

შავი ზღვის რეგიონის თანამედროვე მდგომარეობას დიდწილად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარი ცვლილებები. შედეგად, შავ ზღვაზე ინტერესთა კონფლიქტი კიდევ მეტად ჩაიხლართა და ურთიერთობები უფრო მრავალწახნაგოვანი გახდა. შავიზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო) გარდა, აქ ინტერესები აქვთ აშშ-სა და ევროკავშირს.

რეგიონში დიდი გავლენის მქონე ქვეყნად დღეს თურქეთი მიიჩნევა. მისთვის შესაძლოა ხმელთაშუა ზღვას უფრო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, თუმცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი საშუალებას აძლევს, შავ ზღვაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეინარჩუნოს. პრაქტიკულად ყველა რეგიონული პროექტის მამოძრავებელი ძალა თურქეთია. სწორედ მისი ორგანიზებით მოეწერა ხელი 1992 წლის 25 ივნისის სტამბოლის დეკლარაციას, რომელმაც «შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას» (BSEC - Black Sea Economic Cooperation) დაუდო საფუძველი. დეკლარაციას ხელს აწერდა 11 ქვეყანა - ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. BSEC-ის შტაბბინა 1994 წლიდან სტამბოლშია. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში მიიღეს სერბეთი. «შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის» გაცხადებული მიზანია ეკონომიკური სტაბილურობის, მშვიდობისა და ჰარმონიული თანამშრომლობის უზრუნველყოფა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. BSEC-ის ეგიდით მოქმედებს «შავი ზღვის კვლევის ცენტრი» და «შავი ზღვის ბანკი».

თურქეთი 1990-იან წლებიდან შავი ზღვის ნავთობტანკერებისგან განტვირთვას ცდილობს. ამას ხელს უწყობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიც, რომელიც შუა აზიიდან ევროპას აწვდის ნავთობს, საქართველოს გავლით.

ასევე თურქეთის ინიციატივით 2001 წელს დაარსდა «შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ორგანიზაცია» (BlackSeaFor - Black Sea Naval Force), რომლის წევრები არიან რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო და თურქეთი. ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს სამხედრო ბლოკს, თუმცა სამხედრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დღეისთვის თურქეთი პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებას ცდილობს რუსეთსა და აშშ-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია და აშშ-თან მყარ ურთიერთობას ესწრაფვის, იგი ასევე ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას რუსეთთან და შავიზღვისპირა ქვეყნებთან, რათა მსოფლიოს აჩვენოს, რომ რეგიონის სახელმწიფოებს თავადაც ძალუძთ შავი ზღვის აუზში სტაბილურობის მიღწევა.

მეორე გავლენიანი სახელმწიფო რეგიონში რუსეთია. დღეს შავი ზღვა რუსეთისთვის საკვანძო ადგილს წარმოადგენს. იგი სწორედ ამ სივრცის წყალობით ახერხებს აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის კონტროლს.

რუსეთის პოლიტიკა შავ ზღვაში „ძლიერი სახელმწიფოს“ იდენტობით განისაზღვრება. ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში (2000 წლიდან) რუსეთის მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს მრავალპოლარულ სამყაროში ძალის ერთ-ერთ ცენტრად - ევრაზიული ძალის პოლუსად ჩამოყალიბება (Radin/Rach, 2017:79). რუსეთის პრეზიდენტი ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას არსებული მსოფლიო წესრიგით. შესაბამისად, რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონტინენტურ ევროპაში ნატოს მონოპოლიის დასრულება უსაფრთხოების სფეროში და ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების აღკვეთა. ამისათვის აუცილებელია, რომ შავი ზღვის სახელმწიფოები მისი გავლენის სფეროში იყვნენ. სწორედ რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის გამოხატულებაა, საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა, რაც არც ისე მოულოდნელია თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი შავი ზღვის რეგიონს საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს. ეს ტენდენცია კარგად ჩანდა 2000-იანი წლების დასაწყისში დსთ-ს კონცეფციაში (Herd/Moustakis,2000:14-15) რუსეთის პერსპექტივის თანახმად, მას შავი ზღვის ქვეყნებთან აკავშირებს საერთო ისტორიული წარსული და კულტურული მემკვიდრეობა. რუსეთის ინტერვენცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული აგრესია და ყირიმის ანექსია ამტკიცებს რუსეთის მთავარ სტრატეგიას შავი ზღვის მიმართ - „შავი ზღვის ეტაპობრივი (ხელახალი) იმპერიალიზაცია. (Triantaphyllou, 2016:7) გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისთვის საუკუნეების მანძილზე უცვლელია. შავი ზღვა არის ერთადერთი თბილი ზღვა (რომელიც არასოდეს იყინება და მისი პორტების გამოყენება წელიწადის ყველა დროს არის შესაძლებელი) რუსეთისათვის ამ გეოგრაფიულ სივრცეში პოზიციების გამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში. 2003 წლის სექტემბერში ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ „აზოვისა და შავი ზღვის რეგიონები არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფერო“. ამასთან, შავი ზღვა უზრუნველყოფს რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტებს. (Kremlin. Ru 2003.)

შავი ზღვის რეგიონის მიმართ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ორ მთავარ სასიცოცხლო ამოცანას სახავს:

1. ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების შეჩერება და შავი ზღვის რეგიონის საკუთარი გავლენის სფეროში შენარჩუნება;

2.საზღვაო ძალის განვითარება შავ ზღვაზე მეზობელ რეგიონებში ძალის პროექციისათვის. შავი ზღვის მილიტარიზაცია რუსეთისათვის შესაძლებლობას წარმოადგენს წინ აღუდგეს დასავლეთის მიერ წარმოებულ „შეკავების პოლიტიკას“ რუსეთის მიმართ და შეაჩეროს ნატოს გაფართოება. საყურადღებოა მისი ამბიციებისა და მისწრაფებების შესაბამისი ეროვნული საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც 2015 წლით თარიღდება და მიზნად ისახავს რუსეთის მრავალრეგიონულ საზღვაო ძალად ჩამოყალიბებას. (Bugajski/Doran,2016:10)

„გართულებული საერთაშორისო ვითარების ფონზე ახლო აღმოსავლეთში შავი ზღვის აუზი შესაძლოა ტრანსფორმირებული იქნას ერთგვარ ლოჯისტიკურ პლაცდარმად ახლო აღმოსავლეთსა და ნავთობით მდიდარ ადენის ყურეში საზღვაო ოპერაციების წარმოების თვალსაზრისით“(Bugajski/Doran, 2016:11)

„მონტრიოს კონვენციას“, თურქეთის მსგავსად, რუსეთისთვისაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს შეთანხმება შავი ზღვის რეგიონში რუსეთის გავლენისა და პრივილიგირებული მდგომარეობის გარანტია და სრულ თანხვედრაშია მის ინტერესებთან. რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება ნატოს სამხედრო ინიციატივებს შავ ზღვაში და ნებისმიერ მოქმედებას თავის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აღიქვამს. ნატოში რუსეთის ელჩის შეფასებით ნატოს მოქმედებები შავი ზღვის რეგიონში და

სამხედრო წარმომადგენლობის ზრდა ახალი ცივი ომის რეალობაზე მიანიშნებს და რუსეთს აიძულებს მიიღოს ყველა საჭირო ზომა „ეროვნული ინტერესების“ დასაცავად რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკა რეგიონში საკმაოდ აგრესიულია. 2008 წლის აგვისტოს ომმა, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე აფხაზეთის ფორმალურმა ოკუპაციამ (ცხინვალის რეგიონთან ერთად), ხოლო 2014 წელს ყირიმის ანექსიამ დიდწილად გამოიწვია რუსეთის გაძლიერება და არსებული ძალთა ბალანსის რღვევა.

შავი ზღვის რეგიონი სავსეა ცხელი წერტილებით, რაც მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებისთვის სერიოზული გამოწვევაა, ხოლო ორი დიდი მოთამაშის (რუსეთი და თურქეთი) მერყევი და ცვალებადი ურთიერთობა, კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის რეგიონის საერთო სტაბილურობას (Larrabee/ Flanagan, 2016:11)

რუსეთი დღემდე აგრძელებს შავი ზღვის მილიტარიზაციას, სადაც ანექსირებული ყირიმი ესკალაციის ცენტრის როლს თამაშობს. ასევე რუსეთი ფლობს ბირთვული შესაძლებლობების იარაღსა და ბირთვულ პლატფორმებს შავი ზღვის აუზში. რუსეთმა ყირიმის ანექსიით მოიპოვა სევასტოპოლის პორტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რუსეთის საზღვაო ძალაში და უკავია სტრატეგიული მნიშვნელობა. სწორედ სევასტოპოლში არის განთავსებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტის 80%. ის ასევე, წარმოადგენს რუსეთის კუთვნილებაში მყოფ ერთადერთ პორტს, რომელიც წლის მანძილზე არასოდეს იყინება. ამასთანავე, ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთს აქვს ფეოდოსიის პორტი, რომელიც იტევს რუსეთის შავი ზღვის საზღვაო ძალების 20%-ს (Schneider,A. 2016:2) შესაბამისად, ყირიმის ნახევარკუნძულზე განთავსებულია რუსეთის საზღვაო ძალების 90%, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ანექსიის მნიშვნელობას რეგიონში არსებული ძალთა ბალანსის ცვლილებაში. (Celak, 2017:2)

მიმდინარე ეტაპისთვის რეგიონის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე იკვეთება ძირითადი აქტორები და შესაძლებელია მათი როლის განსაზღვრა გეოპოლიტიკურ თამაშში. ძირითადი მოთამაშეები იყოფა 3 ჯგუფად. პირველი ჯგუფში შედის დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშეები, რომელთა ინტერესები გაზრდილია რეგიონში, ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო და რუსეთი. მეორე ჯგუფში შედიან რეგიონალური მოთამაშეები: თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი და საქართველო. ამ ქვეყნების შეზღუდული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობები არ აძლევთ მათ საშუალებას, რომ იყვნენ დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშეები, თუმცა ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გეოსტრატეგიული თამაშში. მესამე ჯგუფში შედის საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროკავშირი, სუამი და სხვა. ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ძალთა გადანაწილებაზე და რეგიონში მიმდინარე პროცესებზე (Goncharenko, 2004:5)

შავი ზღვის რეგიონში თურქეთისა და რუსეთის გავლენაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ორ ქვეყანას ჰყავს შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერი სამხედრო ფლოტი.

თურქეთი მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია და აშშ-ის სერიოზული პარტნიორიცაა ახლო აღმოსავლეთში, ის ყოველთვის ცდილობს თავისი რეგიონალური ლიდერობის მისწრაფებიდან გამომდინარე, აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსი გაატაროს. თურქეთის ამ ,,ამბიციამ“ მოახდინა მისი და რუსეთის ინტერესთა თანხვედრა რეგიონში (ირანთან ერთად) და აქედან გამომდინარე, ამ ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა.

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც შავი ზღვის რეგიონზე გავლენა აქვს, ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლისთვისაც ეს რეგიონი რუსეთის მზარდი ამბიციების შეჩერების საშუალებას წარმოადგენს, თუმცა ამაში აშშ-ს მონტრეს კონვენცია უშლის ხელს. სწორედ ამიტომ, აშშ პერიოდულად სვამს კონვენციის გადახედვის საკითხს, ხოლო რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია. შესაძლოა, მომავალში მონტრეს კონვენცია მაინც გადაიხედოს აშშ-ის ინიციატივით, თუმცა ამას დღეს ვერავინ განჭვრეტს.

აშშ-ის ინტერესებს ამყარებს და მეტი ლავირების საშუალებას აძლევს ნატოს ახალი წევრების - რუმინეთისა და ბულგარეთის პოზიცია, რომლებიც რეგიონში აშშ-ის დამკვიდრებას უჭერენ მხარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად თურქეთიც, რომელიც უშუალოდ აკონტროლებს ბოსფორსა და დარდანელს, ნატოს წევრია, ადვილად დავინახავთ, რა გავლენა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შავი ზღვის აუზში.

რეგიონში ანგარიშგასაწევი მოთამაშეა ევროკავშირიც, რომელსაც საკუთარი მიზნები და ინტერესები ამოძრავებს - აღმოსავლეთისკენ გაფართოების, შავი ზღვის ენერგეტიკული უსაფრთხოების, არალეგალური მიგრაციის საკითხები, ასევე ეკოლოგიური პროგრამა, რომელსაც ევროკავშირი შავი ზღვის აუზში ახორციელებს.

დაინტერესებულ ქვეყნებზე საუბრისას აღსანიშნავია გერმანია, რომლისთვისაც გეოგრაფიული ფაქტორის გამოა რეგიონი საყურადღებო - შავ ზღვას უერთდება ევროპის ყველაზე გრძელი მდინარე დუნაი (სიგრძე 2860 კმ), რომელიც სათავეს გერმანიის ტერიტორიაზე იღებს. დუნაის უმეტესი ნაწილი საბჭოთა კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ სანაოსნოდ გაიხსნა და ამჟამად ის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო არტერიაა.

უკრაინისათვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვაო უსაფრთხოება, პირდაპირ არის დაკავშირებული მის ეროვნულ უსაფრთხოებასთან. განსაკუთრებით ყირიმის ანექსიის შემდეგ. რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსია ხშირად განიხილება სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში, ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტთან ერთად. უკრაინაში შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება ძირითადად განიხილება ევროინტეგრაციის, ასევე ნატოში ინტეგრაციის ფარგლებში, შესაბამისად საგარეო პოლიტიკური იდენტობის ნაწილში შავი ზღვის რეგიონთან მიკუთვნებულობა საკმაოდ ძლიერაა წარმოდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის მნიშვნელობასა და მის როლზე ხშირად ხდება ხაზგასმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უკრაინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ფორმატებსა და რეგიონულ ურთიერთობებში ამ საკითხის წინ წამოწევა.

უკრაინამ, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთმა მთავარმა რეგიონულმა აქტორმა ჯერ კიდევ 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო საუბარი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გასაძლიერებლად, რაც მოაზრებული იყო „ევროპული უსაფრთხოების სივრცის“ ნაწილად რეგიონის ქცევის მცდელობად. მაგალითისათვის, 2010 წელს “ხარკოვის შეთანხმების“ გაფორმების შემდეგ, რომელიც გულისხმობდა უკრაინული შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებას ყირიმში, უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივა დაკავშირებულია „ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სიტემის“ შექმნასთან. (Ergun/Isaxanli, 96-107)

ნატო მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უკრაინას სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობების განვითარებაში და ეხმარება უკრაინას სანაპირო თავდაცვის და შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებაში, უკრაინა კი მონაწილეობას იღებს ალიანსის სხვადასხვა საზღვაო მისიებში.

შავიზღვისპირა ექვსი ქვეყნის რიცხვში შედის საქართველოც. საქართველო BSEC-ის წევრია და აქვს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. აღსანიშნავია,

რომ BSEC-ის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB - Black Sea Trade and Development Bank)) სადამფუძნებლო შეთანხმებას თბილისში ხელი მოეწერა 1994 წელს. ამ ბანკმა წევრ ქვეყნებში ბევრი პროექტი დააფინანსა, მათ შორის საქართველოში. მაგალითად, ნავთობტერმინალის აგება ფოთის პორტში, რომელიც 2002 წელს ამოქმედდა. აქ გადის კასპიის ზღვიდან შავი ზღვისკენ გადაზიდული ნავთობი. პროექტისთვის BSTDB-მა $8-მილიონიანი სესხი გამოყო.

საქართველოს სტრატეგიული ინტერესებია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დემოკრატიული მონაპოვრის განმტკიცება და მათი შეუქცევადობა, ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება. BSEC-ში მონაწილეობა ხელს უწყობს ამ მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

თუმცა არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით (რუსეთის საგარეო პოლიტიკური გააქტიურება, უკრაინის ანექსია, თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობის დაძაბვა და შესაბამისად თურქეთ-რუსეთის დაახლოება) საქართველოს მართებს მაქსიმალურად მკაფიო და მყარი პოლიტიკის გატარება, სტრატეგიული მოთმინება სანამ შესაძლებლობის ფანჯარა გაჩნდება, რაც ნიშნავს ერთდროულად გეოპოლიტიკური მოცემულობის ცვლილებას და პოლიტიკური ნების ჰარმონიას.

საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ერთიანი, თანმიმდევრული ხედვა შავი ზღვის უსაფრთხოებისადმი. მართალია, აღნიშნული საკითხი ასახულია სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა საჭიროა უფრო დეტალური და პროაქტიული პოლიტიკის შემუშავება, რომლის ფარგლებში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ.) კოორდინირებულად იმოქმედებენ. აღსანიშნავია, რომ საკითხის აქტუალობის მიუხედავად, არც საგარეო საქმეთა სამინისტროში და არც თავდაცვის სამინისტროში არ არსებობს კონკრეტული უწყება/დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ერთიანი მიდგომის შემუშავებასა და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას.

შავ ზღვაში წარმოშობილი მილიტარიზაციის ტენდენციებისა და ნატოს სტანდარტებთან დაახლოების კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ყურადღება გაამახვილოს საზღვაო ფლოტის განვითარებასა და სანაპირო დაცვაზე. ასევე უნდა განაგრძოს და კიდევ უფრო გააქტიუროს ნატოს ფარგლებში შავი ზღვის მასშტაბით საზღვაო წვრთნებში მონაწილეობა.

საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და რეფორმების პროცესების შესახებ ევროკავშირის კონტექსტშიც და აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირის მასშტაბით შავი ზღვის რეგიონის მიმართ რეგიონული პოლიტიკის შემუშავებას. იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ შავი ზღვის საშუალებით უკავშირდება საქართველო ევროკავშირს ამ რეგიონთან მიკუთვნებულობა ევროპული იდენტობის ნაწილად შეიძლება იქცეს, ასევე, ამ რეგიონის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ორ ლიდერს - საქართველოსა და უკრაინას ევროკავშირთან ურთიერთობების ახალ ფორმატში წარმართვის შესაძლებლობებიც ეძლევათ.

დასკვნა

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების საკითხის აქტუალიზაციის ტენდენციები რეგიონის მიმართ მტკიცე პოლიტიკის ჩამოყალიბების პერსპექტივად შეიძლება მივიჩნიოთ. მოსალოდნელია, რომ შავი ზღვასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო დიდ ადგილს დაიკავებს ნატო-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დღის წესრიგში.

იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს მომავალში თითქმის წარმოუდგენელია მონტრიოს კონვენციის გადახედვა, შავ ზღვაში ნატოს მთავარი დასაყრდენი სწორედ რეგიონის სახელმწიფოები უნდა იყვნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებში საქართველოსა და უკრაინის ჩართულობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნატოსთვის. მოსალოდნელია, რომ გაგრძელდება დაწყებული დინამიკა ამ კუთხით და საქართველო და უკრაინა კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან რეგიონის უსაფრთხოების შესახებ ნატოს ფარგლებში გამართულ დისკუსიებში, რაც ამ ქვეყნების თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

თუმცა, რუსეთი და თურქეთი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნისა და ნატოს როლის გაძლიერებისათვის. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით (2015 წლის კონფრონტაციიდან 2017 წლის მეგობრობამდე) და თურქეთსა და მის ტრადიციული პარტნიორს აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, რუსეთ-თურქეთის „დაახლოება“ ქმნის შავი ზღვის რეგიონში სხვა აქტორების როლის შეზღუდვის, მათი პოზიციების შესუსტების საფრთხეს და მიანიშნებს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების ექსკლუზიურად რეგიონულ დონეზე (რუსეთისა და თურქეთის მიერ) გადაწყვეტის პერსპექტივებზე.

შავი ზღვის რეგიონზე სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების ფოკუსირება და მიმდინარე მილიტარიზაციის ტენდენციები კი ზრდის რეალური კონფრონტაციის რისკს. ამგვარად, შავ ზღვას არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთაშორისო გეოპოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ინტერესთა კონფიგურაციის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა / REFERENCES

Goncharenko, A. (2004). *Caspian–Black Sea Security Challenges and the Regional Security Structures;*

Radin, A. Rach, C. (2017). *Russian Views of theInternational Order. Rand Cooperation.* P. 79. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1826/RAND_RR1826.pdf (Date of access 25.11.2021)

Herd, G. Moustakis, F. (2000). Black Sea Geopolitics: Dillemas, obstacles and Prospects. Conflict studies Research Centre. P14-15.https://www.files.ethz.ch/isn/97695/00_Jul.pdf (Date of access 25.11.2021)

Triantaphyllou, D. (2016). *The Empty shell of Black SeaRegionalism.* UA: Ukraine Analitica 4(6).p7. http://www.harvard-

bssp.org/static/files/446/DIMITRIOS%20TRIANTAPHYLLOU.pdf (Date of access 27.11.2021)

Kremlin. Ru 2003. *„The Black Sea gives Russia direct access to the world's major transport routes, including its economic routes*"http://en.kremlin.ru/events/president/news/29375 (Date of access 20.11.2021)

Bugajski, J. Doran, P.(2016). *Black Sea Defended. Center for European Policy Analysis Black Sea Strategic Report No. 2. P. 10* https://bit.ly/2LEATim (Date of access 21.11.2021)

Ergun, A. Isaxanli, H. (Eds.). *Security and Cross Border Cooperation in the EU, the Black Sea Region and Southern Caucasus,1st ed.* pp. 96-107, p 99. Amsterdam, Netherlands: IOS Press BV. (Date of access 15.11.2021)

Schneider, A. (2016). *U.S. and NATO naval engagement with Russia in the Black Sea: historical patterns and current prospects. Monterey*. California: Naval Postgraduate School. P.2. https://calhoun.nps.edu/ (Date of access 21.11.2021)

Celak, S. (2017). Why does Black Sea matters. New Stretegy Center: Center for American Seapower, Hudson Institute. https://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Why-the-Black-Sea-Matters-PolicyPaper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power-II-engl-A4-9ian2017-1.pdf. (Date of access 20.11.2021)